

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

№01

ქ. თბილისი

8 აპრილი 2014 წ.

ერთი მხრივ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე მარგიშვილის სახით და მეორე მხრივ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის სახით, ვმოქმედებთ რა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 65-ე, 66-ე და 69-ე მუხლებითა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის მინიჭებული შემდეგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და მათი განხორციელების უფლებამოსილებების სააგენტოსათვის გადაცემა:

ა) ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება და მოხსნა სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე, ხოლო ქ. თბილისის ტერიტორიაზე, სამინისტროსათვის წინადადებების წარდგენა, საქართველოს მთავრობის სხდომაზე აღნიშნული საკითხების ინიცირების მიზნით;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის ან მისი შემადგენელი არეალის გაფართოება;

გ) ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანისა და სიიდან ამორიცხვის უფლებამოსილება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შეთანხმება;

ე) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში, ისეთი ტერიტორიის განაშენიანებაზე, რომელიც ისტორიულად არ ყოფილა განაშენიანებული, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, თანხმობის გაცემა;

ვ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ დასკვნის გაცემა;

ზ) უძრავი არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) საკითხის შეთანხმება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ყველა სახის საქმიანობის შეჩერება, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები და უფლებამოსილებები

1. სამინისტრო ვალდებულია, შექმნას სათანადო პირობები წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებისათვის.

2. სამინისტრო უფლებამოსილია, გააუქმოს სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე.

3. სააგენტო ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება;

ბ) დაუყოვნებლივ წარუდგინოს სამინისტროს ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის განხილვის შედეგებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების/მოხსნის თაობაზე;

გ) სამინისტროს წარუდგინოს წლიური ანგარიში დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

1. მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისას, რასაც შეიძლება მოჰყვეს გარემოებათა არსებითი შეცვლა, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შეცვლა.

2. მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სამინისტროს გადაწყვეტილებით.





5. დასკვნითი დებულება

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს უვადოდ.

7. მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი			ალექსანდრე მარგიშვილი
სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი			ნიკოლოზ ანთიძე